ჭეშმარიტად, ორივე მათგანი ისჯება, და არ ისჯებიან დიდი ცოდვების გამო. ერთი მათგანი შარდს არ უფრთხილდებოდა (არ სუფთავდებოდა), ხოლო მეორე ჭორებს ავრცელებდა

გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მან თქვა: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორ სასაფლაოს ჩაუარა და თქვა: «ჭეშმარიტად, ორივე მათგანი ისჯება, და არ ისჯებიან დიდი ცოდვების გამო. ერთი მათგანი შარდს არ უფრთხილდებოდა (არ სუფთავდებოდა), ხოლო მეორე ჭორებს ავრცელებდა, შემდეგ აიღო პალმის ნედლი ფოთოლი და ორად გაყო და ჩაარჭო ყოველ სასაფლაოზე თითო, მას ჰკითხეს: ო, ალლაჰის შუამავალო, რატომ გააკეთე ეს? მან თქვა: «იმედია, ამის გახმობამდე ცოტა შეუმსუბუქდებათ (ტანჯვა)».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ორ სასაფლაოს ჩაუარა, და თქვა: ამ ორი სასაფლაოს მკვიდრი ისჯება (საფლავის სასჯელით); და თქვენი შეხედულებით დიდი ცოდვის გამოც არ ისჯებიან ისინი, თუმცაღა ალლაჰის წინაშე ის დიდი ცოდვაა. ერთ-ერთი მათგანი ყურადღებას არ აქცევდა ტანსაცმლის და სხეულის სისუფთავეს, არ იწმინდებოდა შარდისგან როცა, მოთხოვნას იკმაყოფილებდა. ხოლო მეორე ადამიანთა შორის ჭორებს ავრცელებდა, სხვისი სიტყვების გადამცემი იყო იმ მიზნით, რომ ზიანი მიეყენებინა და ადამიანთა შორის განხეთქილება და უთანხმოება ჩამოეგდო.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3010